ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

25 ივლისი 2024

N 490

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების შესახებ

,,განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N6-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, 2024 წლის 21 ივნისს სამსახურისათვის წარდგენილ იქნა საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის (შემდგომში - აბფმფ) N-ფა/2-03 წერილი (რეგისტრაციის N103264/16; 21.06.2024წ.) აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის შესახებ. აბფმფ-მ 2024 წლის 10 ივლისს დამატებით წარადგინა N-ფა/2-07 წერილი (სამსახურში რეგისტრაციის N115487/16; 10.07.2024წ.) განახლებული აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის შესახებ.

,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N6-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს აბფმფ-ის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარებასთან დაკავშირებული წარმოება;
2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და აღიარდეს 2024 წლის 10 ივლისის N-ფა/2-07 კორესპონდენციით წარმოდგენილი აუდიტორების განგრძობითი განათლების 2024 წლის პროგრამა;
3. მიენიჭოს აბფმფ-ის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამას ნომერი - SARAS-CPD022/24;
4. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს აბფმფ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამის სტანდარტთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის განხორციელება, ხოლო აბფმფ-ს - ლექციაზე მსმენელთა ელექტრონულად დასწრებისათვის გათვალისწინებული, ელექტრონული უზრუნველყოფის (შესაბამისი ბმულების) შესახებ ინფორმაციის სამსახურისათვის მიწოდება;
5. დაევალოს აბფმფ-ს აღიარებული აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნება (www.gfaafm.ge);
6. გადაწყვეტილება გაეგზავნოს აბფმფ-ს ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) დღის ვადაში;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

თორნიკე ძაგნიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი

https://edoc.mof.ge/public/#/490-16-4-202407251230

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE